18/04/2019

ტყის კოდექსის განხილვა საქართველოს საპატრიარქოში

ა.წ. 17 აპრილს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, ბ-ნ იური ნოზაძეს, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსს, ბ-ნ კარლო ამირგულაშვილს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილეს, ქ-ნ ნათია იორდანიშვილს და მათ თანმხლებ პირებს შეხვდა.

საუბარი შეეხო ტყის კოდექსის ახალ ვერსიას, რომლის შემუშავებაც რამდენიმე წელია მიმდინარეობს. როგორც ბ-ნმა კარლომ აღნიშნა, კოდექსზე მუშაობის პროცესში სხვადასხვა სტრუქტურებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან არაერთი შეხვედრა ჩატარდა და დღევანდელი შეხვედრაც ამ ფორმატის გაგრძელებაა.

ითქვა ისიც, რომ კანონპროექტი პრაქტიკულად დასრულებულია და იგი პარლამენტშია გადაგზავნილი.

— patriarchate.ge